SJSU
სამცხე-ჯავახეთის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის
ეკონომიკურ მეცნიერებათა კომისია
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი

საქართველოს ეკონომისტთა VIII ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია

საქართველოს ეკონომიკა გეოპოლიტიკური ფრაგმენტაციის პირობებში: გამოწვევები და შესაძლებლობები

ახალციხე - 2026

SJSU
სამცხე-ჯავახეთის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2026 წლის 11 სექტემბერს საქართველოს ეკონომისტის დღეს გამართულ **VIII ეროვნული სამეცნიერო კონფერენციაზე**
წაკითხული მოხსენებების მასალები

Proceedings of the VIII National Scientific Conference Held at Samtskhe-Javakheti State University on September 11, 2026, on the Occasion of Georgian Economist's Day

კონფერენცია ეძღვნება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დაარსებიდან 85 წლის იუბილეს

The conference is dedicated to the 85th anniversary of the establishment of the National Academy of Sciences of Georgia.

სამეცნიერო-სარედაქციო კოლეგია: ვლადიმერ პაპავა (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ თაქთაქიძე, მერაბ ბერიძე, გივი ბედიანაშვილი, ნინო ბერიძე (პასუხიმგებელი მდივანი), გიორგი ბუცხრიკიძე, ბადრი გეჩბაია, მურმან კვარაცხელია, თეა ლაზარაშვილი, ავთანდილ სილაგაძე, მერაბ ხოხობაია, ვახტანგ ჭარაია, მიხეილ ჯიბუტი

Scientific-Editorial Board: Vladimir Papava (chief editor), Vakhtang Taktakidze, Merab Beridze, Givi Bedianashvili, Nino Beridze (corresponding Secretary), Giorgi Butskhrikidze, Badri Gechbaia, Murman Kvaratskhelia, Tea Lazarashvili, Avtandil Silagadze, Merab Khokhobaia, Vakhtang Charaia, Mikheil Jibuti.

რეცენზენტები: *პროფესორი* ***ცისკარა ზარანდია***
პროფესორი ***ნიკოლოზ ჩიხლაძე***

Reviewers: Prof. ***Tsiskara Zarandia***
Prof. **Nikoloz Chikhladze**

დაფინანსებულია განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ

Funded by the Ministry of Education, Science and Youth of Georgia

© სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი
© Samtskhe-Javakheti State University

ISBN 978-9941-9966-9-6

ს ა რ ჩ ე ვ ი

ძვირფასო კოლეგებო, ეკონომისტებო და ეკონომიკური პროფილის სტუდენტებო! 11

პლენარული სესია 13
ვლადიმერ პაპავა - გლობალური ეკონომიკის მანუფაქტურიზაციის შესახებ 14
Vladimer Papava - On The Manufacturization of the Global Economy 23
ელგუჯა მექვაბიშვილი - გლობალიზაცია: ახალია კონვერგეცია თუ „დიდი დივერგენციის“ დაბრუნება? 24
Elguja Mekvabishvili - Globalization: New Convergence or the Return of the "Great Divergence"? 35
ეთერ ხარაიშვილი - გეოეკონომიკური ფრაგმენტაცია და ინსტიტუციური არჩევანი სასურსათო ინდუსტრიაში: მულტილატერალიზმი თუ მინილატერალიზმი? 36
Eter Kharaishvili - Geo-economic Fragmentation and Institutional Choice in the Food Industry: Multilateralism or Minilateralism? 57
თეიმურაზ შენგელია - გლობალური გეოეკონომიკური ტრანსფორმაცია და ტრანსკასპიური საერთაშორისო სატრანსპორტო მარშრუტის როლი საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაში 58
Teimuraz Shengelia - Global Geoeconomic Transformation and the Role of the Trans-Caspian International Transport Route in Georgia's Economic Development 68

პირველი სექცია 69
მიხეილ თოქმაზიშვილი, შოთა ლომინაშვილი - საქართველოს გზაჯვარედინი: ერთპოლარული vs მრავალპოლარული გეოპოლიტიკა 70
Mikheil Tokmazishvili, Shota Lominashvili - Georgia at a Crossroads: Unipolar vs Multipolar Geopolitics .71
რევაზ გველესიანი, ირინა გოგორიშვილი - გლობალიზაციისა და დეგლობალიზაციის შედეგები თანამედროვე წესრიგის პოლიტიკაში 80
Revaz Gvelesiani, Irina Gogorishvili - The Consequences of Globalization and Deglobalization in Policy of the Modern Order 88
ტიტე არუშიძე, ბადრი გეჩბაია, გიორგი ქათამაძე - საქართველოს ეკონომიკის განვითარების გამოწვევები „შუა დერეფნის“ საერთაშორისო პროექტის ფარგლებში 90
Tite Aroshidze, Badri Gechbaia, Giorgi Katamadze - Challenges of Georgian Economic Development within the Framework of the “Middle Corridor” International Project 99
გივი ბედიანაშვილი, ვახტანგ ჭარაია - უცხოური პირდაპირი ინვესტიციები საქართველოში გეოპოლიტიკური ფრაგმენტაციის ეპოქაში: კონცეპტუალური საფუძვლები და სტრატეგიული გამოწვევები 101
Givi Bedianashvili, Vakhtang Charaia - Foreign Direct Investment in Georgia in the Era of Geopolitical Fragmentation: Conceptual Foundations and Strategic Challenges 117
თამაზი გამსახურდია, თეიმურაზ ფესტვენიძე, ნონა კუხიანიძე - სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემების გადაჭრის ძირითადი ასპექტები 118
Tamazi Gamsakhurdia, Teimuraz pestvenidze, Nona Kukhianidze - Key Aspects of Solving Vital Problems for the Country's Development 126
თეიმურაზ ბერიძე - ეკონომიკის ფუნქციონირების ფაქტორები და საინვესტიციო ტევადობა (საქართველოს მაგალითზე) 127
Teimuraz Beridze - Economy functioning factors and investment capacity (The Case of Georgia) 136
დავით ბასიაშვილი, სლავა ფეტელავა - „ახალი კურსის“ პოლიტიკის გავლენა ეკონომიკურ კონკურენციაზე 137
David Basiashvili, Slava Fetelava - The Impact of the "New Deal" Policy on Economic Competition 143

გლობალური ეკონომიკის მანუფაქტურიზაციის შესახებ

ვლადიმერ პაპავა
აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული
აკადემიის აკადემიკოს-მდივანი;
პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი,
პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი
vladimer.papava@tsu.ge

ანოტაცია. *სტატიაში შესწავლილია ეკონომიკის მანუფაქტურიზაციის არსი, რომლის თანახმადაც ეროვნული ეკონომიკაში იზრდება დამამუშავებელი მრეწველობის მნიშვნელობა. გაანალიზებულია ამ პროცესის განმაპირობებელი ფაქტორები. კერძოდ, დასაბუთებულია, რომ ეკონომიკის მანუფაქტურიზაცია პანდემიით, ომებით და ეკონომიკური სანქციებით გამოწვეული მიწოდების გლობალური ჯაჭვების წყვეტითაა განპირობებული. ამ ჯაჭვების მდგრადობის ასამაღლებლად ფრენდშორინგი, ნიაშორინგი და ინშორინგი გამოიყენება. ეს უკანასკნელი კი თავის თავში რეშორინგს მოიცავს. ფაქტობრივად, ეკონომიკის მანუფაქტურიზაციამ გლობალური ხასიათი შეიძინა. ცალკე გაანალიზებულია აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპის მიერ ინიცირებული სავაჭრო ომი, რასაც საფუძვლად ე.წ. „MAGAნომიკა“ დაედო. ფაქტობრივად ამ უკანასკნელის თეორიულ საფუძველს „თანამედროვე მერკანტილიზმი“ ქმნის და მისი მიზანი აშშ-ის ეკონომიკის მანუფაქტურიზაციის დონის ამაღლებაა. „MAGAნომიკის“ თეორიული ბაზა იმდენად სუსტია, რომ, დიდი ალბათობით, აშშ-სთვის და მისი სავაჭრო პარტნიორებისთვის უმთავრესად უარყოფითი შედეგების მომტანი იქნება.*

საკვანძო სიტყვები: *ეკონომიკის მანუფაქტურიზაცია, გლობალიზაცია, მოწიდების გლობალური ჯაჭვები, პანდემია, ომები, ეკონომიკური სანქციები, MAGAნომიკა, მერკანტილიზმი.*

შესავალი

დამამუშავებელი მრეწველობის როლი ეკონომიკაში სხვადასხვა ეპოქაში არაერთმნიშვნელოვანი იყო. შესაბამისად, იცვლებოდა ეკონომიკის ამ დარგის გლობალური გეოგრაფიული განფენილობაც. კაპიტალიზმის ჩასახვისა და განვითარების საწყის ეტაპზე დამამუშავებელი მრეწველობა, როგორც წესი, ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერის უმთავრეს საფუძველს ქმნიდა. XX საუკუნის მეორე ნახევარში კი თანდათანობით მოხდა ეკონომიკის ამ დარგის საწარმოების განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვყნებიდან განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში გადატანა, რაც, უმთავრესად, წარმოების ხარჯების შემცირებით აიხსნება.

როგორც ცნობილია, სამრეწველო საწარმოების განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებიდან განვითარებად ქვეყნებში გადატანა „დეინდუსტრიალიზაციის“ სახელითაა ცნობილი.

XXI საუკუნის 20-ან წლებში კი დაიწყო ამ პროცესის საწინააღმდეგო მოძრაობა. კერძოდ, სახეზეა დამამუშავებელი მრეწველობის საწარმოების განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში გადატანა, ანუ **ეკონომიკის მანუფაქტურიზაცია** (Papava, 2026).

წინამდებარე სტატიის მიზანია, ეკონომიკის მანუფაქტურიზაციის არსში, მიზეზებსა და მათთან დაკავშრებულ პრობლემებში გარკვეული სიცხადის შეტანა.

უწინარეს ყოვლისა, კი აუცილებელია ზოგიერთ ტერმინოლოგიურ საკითხში გარკვეული სიცხადის შეტანა.

ტერმინების „მანუფაქტურის“ და „მანუფაქტურიზაციის“ შესახებ

ქართულ ენაში ტერმინ „მანუფაქტურის“ ქვეშ, ტრადიციულად, კაპიტალისტური წარმოების ის ისტორიული ფორმა იგულისხმება, რომელიც ხელოსნობაზე, ხელით შრომასა და შრომის დანაწილებაზეა დაფუძნებული, და რომელიც მსხვილი მანქანური ინდუსტრიის წინამორბედი იყო. საყურადღებოა, რომ ტერმინ „მანუფაქტურის“ ამგვარი გააზრება სრულ თანხვერდაშია მისი გამოყენების ინგლისურენოვან, თუ რუსულენოვან პრაქტიკასთან.

იმავდროულად, აღსანიშნავია, რომ, ქართული და რუსული ენებისგან განსხვავებით, ინგლისურ ენაში გამოიყენება ორი ტერმინი – „**manufacture**“ და „**manufacturing**“, რომელთაგანაც პირველი ნიშნავს „მანუფაქტურას“ (ზემოთ მოყვანილი შინაარსით), ხოლო მეორე კი – დამამუშავებელ მრეწველობას.

ყველა ეკონომიკური საქმიანობის საერთაშორისო სტანდარტული სამრეწველო კლასიფიკაციის (International Standard Industrial Classification of All Economic Activities – ISIC) თანახმად, კი ტერმინი „**manufacturing**“ (ანუ „დამამუშავებელი მრეწველობა“) განისაზღვრება, როგორც ისეთი წარმოება, რომლებშიც ხდება მასალების ან კომპონენტების ფიზიკური ან ქიმიური გარდაქმნა ახალ პროდუქტებად (WB, n/d). ეს მასალები, როგორც წესი, სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის, თევზჭერის, სამთომოპოვებითი და ა.შ. პროდუქტებია; ამიტომ, საქონლის მნიშვნელოვანი შეცვლა, განახლება ან რეკონსტრუქცია ზოგადად „მანუფაქტურულ“ პროცესად („**manufacturing**“) ითვლება (UN, 2008, p. 85).

აქედან გამომდინარე, მაშინ როდესაც განვიხილავთ ეკონომიკის სექტორულ სტრუქტურაში დამამუშავაბელი მრეწველობის როლის ამაღლებას, რაც გამოიხატება ქვეყნის მთლიან სამამულო პროდუქტში მისი წილის ზრდაში, ასევე ეკონომიკის ამ სექტორში დასაქმებულთა რიცხოვნობის მატებაში, ამ პროცესს **„ეკონომიკის მანუფაქტურიზაციას“** („manufacturization of the economy“) ვუწოდებთ (Papava, 2026).

საყურადღებოა, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში ტერმინი „მანუფაქტურიზაცია“ ადრეც გამოიყენებოდა, თუმცა განსხვავებული შინაარსით (მაგალითად, Le, 2014; Levendel, 1991; Ye *et al.*, 2012).

ეკონომიკურ ლიტერატურაში ასევე გამოიყენება ტერმინი „მანუფაქტურინგიზაცია“ („manufacturingization“), როცა საუბარია მომსახურების სექტორში დამამუშავებელი მრეწველობის მეთოდების გამოყენებაზე, ან, მომსახურების სექტორის იმგვარ გაფართოებაზე, როცა ის უშუალოდ ურთიერთმოქმედებს დამამუშავებელ მრეწველობასთან, ან, როდესაც დამამუშავებელი მრეწველობის ელემენტების მომსახურების სექტორის გარკვეულ სეგმენტებთან ინტეგრაცია ხდება (მაგალითად, Zhang

et al., 2025, p. 27). ბუნებრივია, რომ ერთმანეთში არ უნდა აგვერიოს „ეკონომიკის მანუფაქტურიზაცია“ და „მომსახურების მანუფაქტურინგიზაცია“.

აქვე იმ გარემოებასაც უნდა გაესვას ხაზი, რომ მიუხედევად იმისა, რომ ტერმინები „ინდუსტრიალიზაცია“ და „მანუფაქრტურიზაცია“ მსგავსი შინაარსობრივი დატვირთვისაა, მათ შორის მნიშვნელოვანი განსხვავება მაინც არსებობს, რადგანაც პირველი ტერმინი მთელ მრეწველობას მოიცავს, მაშინ როცა მეორე მხოლოდ დამამუშავებელი მრეწველობის საზღვრებით შემოფარგლება.

ჰიპერგლობალიზაციის დასასრული და ეკონომიკის მანუფაქტურიზაციის გამომწვევი მთავარი მიზეზები

ისტორიულად განვითარებული ქვეყნებიდან განვითარებად ქვეყნებში დამამუშავებელი მრეწველობის საწარმოების მასობრივი გადატანა 1960-იანი წლების ბოლოს და 1970-იანი წლების დასაწყისში დაიწყო. ამ პროცესს განსაკუთრებით ხელს გლობალური ლოგისტიკური სისტემების განვითარება უწყობდა, რაც მიწოდების გლობალური ჯაჭვების მთლიანობისთვის ინფრასტრუქტურულ საფუძველს ქმნიდა.

საყურადღებოა, რომ დეინდუსტრიალიზაცია არა მარტო განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, არამედ ზოგიერთ განვითარებად ქვეყანაშიც განხორციელდა. ამ, ე.წ. „ნაადრევმა დეინდუსტრიალიზაციამ“ ამ ქვეყნებისთვის, როგორც წესი, უარყოფითი ეკონომიკური (მაგალითად, ეკონომიკური ზრდის შემცირება) და პოლიტიკური (მაგალითად, დემოკრატიული ჩავარდნა) შედეგები გამოიღო (Rodrik, 2015).

დეინდუსტრიალიზაციის პროცესში, განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში პრიორიტეტი ისეთი დარგების განვითარებას მიენიჭა, როგორიცაა ფინანსები, მომსახურება, საინფორმაციო ტექნოლოგიები, კონსალტინგი, ინტელექტუალური საკუთრება, პლატფორმული ეკონომიკა და სხვ.

მიწოდების გლობალური ჯაჭვების ფართო ქსელის შექმნამ და საერთაშორისო ვაჭრობის ინტენსიფიკაციამ კი, თავის მხრივ, 1990-იანი წლების შუა პერიოდში ჰიპერგლობალიზაციის ეკონომიკური საფუძვლების შექმნა განაპირობა (Rodrik, 2011a, pp. 200-201).

ჰიპერგლობალიზაციის ეპოქა 2020 წელს ფაქტობრივად COVID-19 პანდემიამ დაასრულა. კერძოდ, პანდემიის შეზღუდვის გამო მოხდა მიწოდების გლობალური ჯაჭვების წყვეტა (მაგალითად, Spence, 2021). შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე ნამდვილად არ არის გასაკვირი, რომ მთელ მსოფლიოში განსაკუთრებული პრიორიტეტი ამ ჯაჭვების მდგრადობას მიენიჭა (მაგალითად, Marin, 2021).

მიწოდების გლობალური ჯაჭვების წყვეტის პრობლემა რუსეთის მიერ უკრაინაში 2022 წელს დაწყებულმა ომმა და დასავლეთის მიერ რუსეთის წინააღმდეგ შემოღებულმა ეკონომიკურმა სანქციებმა კიდევ უფრო გაამწვავა (BBC, 2024). მას შემდეგ კი, რაც 2026 წლის თებარვალში აშშ-მა და ისრაელმა დაბომბეს ირანი, ამ უკანასკნელმა ჰორმუზის სრუტე გადაკეტა, რამაც მიწოდების გლობალური ჯაჭვებში წყვეტის ახალი ტალღა გამოიწვია (მაგალითად, Bakhtiari, 2026).

აქვე ისიც გასათვალისწინებელია, რომ აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპის მიერ ინიციირებული სავაჭრო ომი (მაგალითად, Jacoby, 2018) მიწოდების გლობალური ჯაჭვების რღვევას ასევე უწყობს ხელს (Papava, Bedianashvili, 2025).

COVID-19 პანდემიის, ასევე ზემოხსენებული ომების შემდეგ, ცხადი გახდა, რომ გლობალიზაციის ისეთი ფორმა, როგორიც ჰიპერგლობალიზაციაა დასრულდა და ის გლობალიზაციის ახალმა ფორმამ – კონფრონტაციულმა გლობალიზაციამ ჩაანაცვლა (Papava, 2022b). გამოითქვა მოსაზრება, რომ მომავალში ჰიპერგლობალიზაციაზე „უკეთესი გლობალიზაცია“ გაბატონდება მსოფლიოში (Rodrik, 2022). ჯერ-ჯერობით კი სახეზეა ფაქტი, რომლის თანახმადაც ჰიპერგლობალიზაციის ნაცვლად კონფრონტაციული გლობალიზაცია გვაქვს. იმას კი სულაც არ სჭირდება დიდი მტკიცება, რომ კონფრონტაციული გლობალიზაცია ჰიპერგლობალიზაციაზე უკეთესესად ნამდვილად ვერ ჩაითვლება.

იმის გათვალისწინებით, რომ გლობალური ეკონომიკისათვის უმთავრესი გამოწვევა მიწოდების გლობალური ჯაჭვების მდგრადობის შენარჩუნებაა, ჩემი აზრით, კონფრონტაციული გლობალიზაციას დიდი ალბათობით გლობალიზაცია ეკონომიკური უსაფრთხოების გათვალისწინებით ჩაანაცვლებს (Papava, 2022a).

გლობალური ეკონომიკური უსაფრთხოების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფუძველს კი მიწოდების გლობალური ჯაჭვების მდგრადობა განაპირობებს.

იმისათვის რომ მიღწეულ იქნას მიწოდების გლობალური ჯაჭვების მდგრადობა გამოიყენება შემდეგი მიდგომები (Ellerbeck, 2023):

- „ფრენდშორინგი“ (friendshoring), ანუ მიწოდების ჯაჭვების მეგობარ ქვეყნებში გადამისამართება;
- „ნიაშორინგი“ (nearshoring), ანუ კომპანიის მიერ თავის ოპერაციების მეზობელ ქვეყანაში გადატანა, რომელთანაც, როგორც წესი, საერთო საზღვარი აქვს;
- „რეშორინგი“ (reshoring), როდესაც ბიზნესი მშობლიურ ქვეყანაში ბრუნდება.

ამ ჩამოთვლილ მიდგომებთან ერთად ასევე გამოიყენება „ინშორინგი“ (inshoring), რომელიც, ჩემი აზრით, შეცდომითაა გაიგივებული „რეშორინგთან“ (Ellerbeck, 2023), რადგანაც „ინშორინგი“ არა მარტო „რეშორინგს“ მოიცავს, არამედ ისეთ პროცესსაც გულისხმობს, როდესაც სხვა კომპანიები, რომლებიც ადრე არ იყვნენ მოცემულ ქვეყანაში, ასევე ირჩევენ იქ ოპერაციების დაწყებას (Papava, 2025).

აუცილებელია იმის ხაზგასმა, რომ, ჯერ კიდევ 15 წლის წინ ეკონომიკის მანუფაქტურიზაცია, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში ითვლებოდა დასაქმების ზრდის, შრომის მწარმოებლურობის ამაღლების და, ზოგადად მაღალი ეკონომიკური ზრდის მიღწევის წინაპირობად (Rodrik, 2011b). ეკონომიკაში განხორციელებულმა ტექნოლოგიურმა ცვილებებმა კი დაადასტურა, რომ ამ მიზნების მისაღწევად სულაც არ არის საჭირო ეკონომიკის მანუფქტურიზაციის სტიმულირება, რადგანაც ეკონომიკის სხვა სექტორები ამ კუთხით ბევრად უფრო შთამბეჭდავ შედეგებს იძლევა (Rodrik, 2026).

კონფრონტაციული გლობალიზაციის პირობებში ეკონომიკის მანუფაქტურიზაცია არა უშუალოდ დასაქმების ზრდის, თუ ეკონომიკური ზრდის ამაღლებაზე, არამედ სულ სხვა ამოცანის გადაჭრაზეა ორიენტირებული. კერძოდ, ეს ამოცანა მიწოდების გლობალური ჯაჭვების მდგრადობის შენარჩუნებაა.

„MAGAნომიკა“, აშშ-ის ეკონომიკის მანუფაქტურიზაცია და „თანამედროვე მერკანტილიზმი“

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპის მიერ სავაჭრო ომი იქნა ინიციირებული, რასაც საფუძვლად ე.წ. „MAGAნომიკა“ („MAGAnomics“) დაედო (მაგალითად, Haldar, 2025; Mulvaney, 2017). „MAGA“ იშიფრება, როგორც „Make America Great Again“, ანუ „გავხადოთ ამერიკა ისევ ძლიერი“.

MAGAნომიკის მიზანია, რომ აშშ-ში ინშორინგის საფუძველზე განხორციელდეს დამამუშავებელი მრეწველობის ზრდა, რამაც ამრიკის ეკონომიკის გაძლიერება უნდა გამოიწვიოს.

თავის მხრივ, იმისათვის, რომ ინშორინგი მართლაც განხორციელდეს აუცილებელია იმპორტის შემცირება და აშშ-ში ბიზნესის წარმართვის მიმზიდველობის გაზრდა. ამ მიზნით, MAGAნომიკის თანახმად გამოყენებულ უნდა იქნეს იმპორტის გადასახადი, რომელიც უმთავრესად უნდა დაუწესდეს იმ ქვეყნებიდან განხორციელებულ იმპორტს, რომლებთანაც აშშ-ს უარყოფითი სავაჭრო ბალანსი აქვს (Mulvaney, 2017).

ამრიგად, იმპორტის გადასახადის შემოღება არის ის უმთავრესი ინსტრუმენტი რამაც **აშშ-ის ეკონომიკის მანუფაქტურიზაცია** უნდა უზრუნველყოს (Papava, 2025).

სწორედ MAGAნომიკის საფუძველზე გამოირიცხა აშშ-ისათვის ფრენდშორინგი და ნიაშორინგი. მართლაც, ფრენდშორინგის გამორიცხვის თვალსაჩინო მაგალითია აშშ-ის მიერ იმპორტის გადასახადის შემოღება ისეთი ტრადიცული პარტნიორების მიმართ როგორიც დიდი ბრიტანეთი (მაგალითად, McKiernan, 2025) და ევროკავშირია (მაგალითად, Grzana, Ilzetzki, 2025). რაც შეეხება ნიაშორინგს, მისი გამორიცხვის საუკეთესო მაგალითია, იმპორტის გადასახადის შემოღება აშშ-ის უშუალო მეზობლების – კანადისა და მექსიკის მიმართ (WH, 2025).

ბუნებრივად იბადება კითხვა იმის შესახებ, თუ რა არის აშშ-ის ეკონომიკის მანუფაქტურიზაციის თეორიული საფუძველი?

იმის გათვალისწინებით, რომ აშშ-ის ეკონომიკის მანუფაქტურიზაციის უმთავრესი (და პრაქტიკულად ერთადერთი) ინსტრუმენტი იმპორტის გადასახადის დაწესებით ინშორინგის სტიმულირებაა, ბუნებრივია, რომ ეს მიდგომა მერკანტილიზმთან დავაკავშიროთ (მაგალითად, Barro, 2019).

საყურადღებოა, რომ მერკანტილიზმი, როგორც ასეთი, ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში ადამ სმითის მიერ საფუძვლიანად იქნა გაკრიტიკებული (მაგალითად, Warlow *et al.*, 2007).

არანაკლებ მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ MAGAნომიკა მერკანტილიზმს ბოლომდე არ ემთხვევა, რამეთუ მათ შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაცაა. მაგალითად, მერკანტილისტური ეკონომიკური პოლიტიკის ეპოქაში მეტროპოლიების მიერ კოლონიური რესურსების მოპოვება ფართოდ გამოიყენებოდა, რის შესაძლებლობასაც აშშ მოკლებულია, რადგანაც მას კოლონიები, როგორც ასეთი არ გააჩნია (Hoffman, 2025). სწორედ იმიტომ, რომ MAGAნომიკა მერკანტილიზმს სრულად არ ემთხვევა, MAGAნომიკის თეორიულ საფუძველს „თანამედროვე მერკანტილიზმი“ დაერქვა (Jensen, 2024).

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს მეორე ეკონომიკის მქონე ქვეყანა – ჩინეთი ასევე მიიჩნევა მერკანტილისტური პოლიტიკის გამტარებლად (მაგალითად, Subramanian, 2026),

ეს სულაც არ ამართლებს მსოფლიოს პირველი ეკონომიკის მქონე ქვეყანის – აშშ-ის მიერ მერკანტილისტური ინსტრუმენტების გამოყენებას (Andrews, 2025).

აღსანიშნავია, რომ COVID-19 პანდემიამ ასევე შეუწყო ხელი აშშ-ში „თანამედროვე მერკანტილიზმის“, როგორც ასეთის, „გამართლებას“ (Andrews, 2025). რა თქმა უნდა, დასავლეთის მიერ უკრაინის ომის გამო რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული გარკვეული ეკონომიკური სანქციები ასევე ხელს უწყობს შეერთებულ შტატებში „თანამედროვე მერკანტილიზმის“ გაძლიერებას. კერძოდ, რუსული ნავთობის შემძენი ქვეყნების წინააღმდეგ იმპორტის გადასახადის მაღალი განაკვეთის შემოღება (მაგალითად, Carvalho, 2026; Raufoglu, 2026) იდეალურად ჯდება „თანამედროვე მერკანტილიზმის“ ზოგად სქემაში, რომლისთვისაც იმპორტის გადასახადის მაღალი განაკვეთის დაწესება ყველაზე „პოპულარული“ ინსტრუმენტია.

მართალია, MAGAნომიკის მიზანი, უწინარეს ყოვლისა, აშშ-ის საგარეო ვაჭრობის ბალანსის გაუმჯობესებასთანაა დაკავშირებული, თუმცა ითვლება, რომ მას სხვა ამოცანის გადაწყვეტაც შეუძლია. კერძოდ, საქმე ეხება იმპორტის გადასახადის გამოყენებას იძულებითი შრომის საწინააღმდეგოდ, რაც ნაკლებადაა მოსალოდნელი (Stiglitz, 2026).

მსოფლიოს წამყვან ეკონომისტთა დამოკიდებულება MAGAნომიკის მიმართ უკიდურესად უარყოფითია, რადგანაც მისი თეორიული საფუძველი („თანამედროვე მერკანტილიზმი“) ძალიან შეზღუდული და წინააღმდეგობრივია (Haldar, 2025). ეკონომისტებისთვის უკვა კარგა ხანია ცნობილია, რომ ქვეყნის უარყოფითი სავაჭრო ბალანსის შემცირებისთვის იმპორტის გადასახადის შემოღება, თუ მისი განაკვეთის ზრდა არა თუ არაეფექტიანია, არამედ დამაზიანებელია როგორც სავაჭრო ბარიერების დამწესებელი ქვეყნისთვის, ასევე მისი სავაჭრო პარტნიორებისთვის (Rodrik, 2025). შედეგად, აშშ-ში დამამუშავებელი მრეწველობის განვითარების პერსპექტივა იმპორტის გადასახადის შემოღების და მისი განაკვეთის ზრდის გზით ნაკლებად დამაიმედებლად უნდა ჩაითვალოს (Lee, 2025).

დასკვნა

დამამუშავებელი მრეწველობის მნიშვნელობა ეკონომიკაში კაპიტალიზმის ჩასახვისა და განვითარების საწყის ეტაპზე საკმაოდ გამოკვეთილი იყო, თუმცა XX საუკენის 60-იანი წლების ბოლოს და 70-იანი წლების დასაწყისში დაიწყო ეკონომიკის ამ სექტორის საწარმოთა მასობრივი გადატანა განვითარებული ქვეყნებიდან განვითარებად ქვეყნებში.

COVID-19 პანდემიის შეზღუდვამ მიწოდების გლობალური ჯაჭვების წყვეტა გამოიწვია, რის შედეგადაც მთელ მსოფლიოში განსაკუთრებული პრიორიტეტი ამ ჯაჭვების მდგრადობას მიენიჭა. ეს პრობლემა კიდევ უფრო გამძაფრდა რუსეთის მიერ უკრაინაში დაწყებული ომის, დასავლეთის მიერ რუსეთის წინააღმდეგ შემოღებული ეკონომიკური სანქციებისა და აშშ-ისა და ისრაელის მიერ ირანზე განხორციელებული თავდასხმის შემდეგ. ამან განაპირობა ის, რომ გლობალურად პრიორიტეტი მიენიჭა დამამუშავებელი მრეწველობის საწარმოთა დაბრუნებას იმ ქვეყნებში, საიდანაც ისინი იყვნენ განვითარებად ქვეყნებში გატანილნი. პარალელურად მოხდა ამ საწარმოების გადატანა მეგობრულად განწყობილ და უშუალო მეზობელ ქვეყნებშიც.

პროცესს, როცა ქვეყნის ეკონომიკაში იზრდება დამამუშავებელი მრეწველობის მნიშვნელობა ეკონომიკის მანუფაქტურიზაცია დავარქვით.

MAGAნომიკის უმთავრესი მიზნის – აშშ-ში დამამუშავებელი მრეწველობის საწარმოების გადმოტანის მისაღწევად, გამოიყენება იმპორტის გადასახადის შემოღება და მისი განაკვეთის ოდენობის ზრდა. ამგვარი მიდგომის თეორიულ საფუძველს მერკანტილიზმი წარმოედგენს, რომლის სუსტი მხარეებიც ადამ სმითის მიერ ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში იქნა მხილებული.

რადგანაც MAGAნომიკა მხოლოდ ნაწილობრივ ეფუძვნება მერკანტილიზმს, ამან განაპირობა ის, რომ MAGAნომიკის თეორიულ საფუძველს „თანამედროვე მერკანტილიზმი“ ეწოდა.

მსოფლიოს წამყვანი ეკონომისტებისთვის აშკარაა, რომ MAGAნომიკა დასახულ მიზანს ვერ მიაღწევს და უფრო საზიანო იქნება, როგორც აშშ-ის, ისე მისი ძირითადი სავაჭრო პარტნიორებისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა

Andrews K., (2025). “Trump Is All in On a Bad Economic Policy from Centuries Ago. Mercantilism Made Europe’s Colonial Powers Poorer. Trump Is Trying a Modern Version Anyway.” *The Washington Post*, May 6, <https://www.washingtonpost.com/opinions/2025/05/06/trump-modern-mercantilism-tariffs/>.

Bakhtiari B., (2026). “The Strait of Hormuz: The Supply Chain Loop that Broke the World.” *The Conversation*, May 28, <https://theconversation.com/the-strait-of-hormuz-the-supply-chain-loop-that-broke-the-world-283664>.

Barro R., (2019). “Trump’s Mercantilist Mess.” *Project Syndicate*, September 5, <https://www.project-syndicate.org/commentary/trump-trade-policy-mercantilism-by-robert-j-barro-2019-09?a_la=english&a_d=5d70d08850b9ea26303b867a&a_m=&a_a=click&a_s=&a_p=%2Farchive&a_li=trump-trade-policy-mercantilism-by-robert-j-barro-2019-09&a_pa=&a_ps=>.

BBC, (2024). “What Are the Sanctions on Russia and Have They Affected Its Economy?” *BBC*, February 23. <https://www.bbc.com/news/world-europe-60125659>.

Carvalho F. L., (2026). “Trump Supports Heavy Tariffs Against Countries that Buy Russian Oil, Targets China and India, and Attempts to Cut Moscow’s Revenues to Pressure Vladimir Putin to Negotiate an End to the War Against Ukraine.” *CPG*, July 12, <https://en.clickpetroleoegas.com.br/trump-supports-heavy-tariffs-against-countries-that-buy-russian-oil-targets-china-and-india-and-attempts-to-cut-moscows-revenues-to-pressure-flpc96/>.

Ellerbeck S. (2023). “What’s the Difference Between ‘Friendshoring’ and Other Global Trade Buzzwords?” *World Economic Forum*, February 17, <https://www.weforum.org/stories/2023/02/friendshoring-global-trade-buzzwords/>.

Grzana M., Ilzetzki E. (2025). “The Impact of Trump’s Economic Policy on the EU Economy.” *VoxEU – CEPR’s Policy Portal*, March 16, <https://cepr.org/voxeu/columns/impact-trumps-economic-policy-eu-economy>.

Haldar A., (2025). "What Is MAGAnomics?" *Project Syndicate*, February 10, <https://www.project-syndicate.org/commentary/maganomics-intellectual-grab-bag-for-political-messaging-not-economic-results-by-antara-haldar-2025-02>.

Hoffman C., (2025). "The Return of Mercantilist Thinking? How an Old Worldview Shaped Global Trade, and Why It Still Matters." *Trade Treasury Payments*, July 16, <https://tradetreasurypayments.com/articles/the-return-of-mercantilist-thinking-how-an-old-worldview-shaped-global-trade-and-why-it-still-matters>.

Jacoby D. S., (2018). *Trump, Trade, and the End of Globalization*. Santa Barbara: Praeger.

Jensen G., (2024). "We Are All Mercantilists Now." *Bridgewater*, December 19, <https://www.bridgewater.com/What-trumps-global-order-could-look-like>.

Le T. P., (2014). "FDI Spillovers Between Manufacturing-Service Sectors: Myth or Reality?" *Journal of International Economics and Management*, No. 62, pp. 3-16, <https://jiem.ftu.edu.vn/index.php/jiem/article/view/96>.

Lee K., (2025). "Can Trump's Tariffs Restore US Manufacturing?" *Project Syndicate*, April 16, <https://www.project-syndicate.org/commentary/why-south-korea-tariffs-succeeded-at-boosting-manufacturing-but-trump-will-not-by-keun-lee-2025-04?utm_source=Project+Syndicate+Newsletter&utm_campaign=6274facbe0-ECON-NEWSLETTER_2025-10-04_COPY_01&utm_medium=email&utm_term=0_-e4393264df-93567601&mc_cid=6274facbe0&mc_eid=e9fb6cbcc0>.

Levendel Y., (1991). "The Manufacturization of the Software Quality Improvement Process." In: *TENCON'91: IEEE Region 10 International Conference on EC3-Energy, Computer, Communication and Control Systems*, Vol. 2. 28-30 August, New Delhi, India. New York: IEEE, pp. 362–366, DOI: 10.1109/TENCON.1991.729678, <https://ieeexplore.ieee.org/document/729678>.

Marin D., (2021). "Making Supply Chains More Resilient." *Project Syndicate*, July 27, <https://www.project-syndicate.org/commentary/should-governments-help-to-boost-supply-chain-resilience-by-dalia-marin-2021-07>.

McKiernan J. (2025). "Globalisation Era has Ended, Says Treasury Minister." *BBC*, April 6, <https://www.bbc.com/news/articles/ckg10yjp7meo>.

Mulvaney M., (2017). "Introducing MAGAnomics." *The Wall Street Journal*, July 12, <https://www.wsj.com/articles/introducing-maganomics-1499899298>.

Papava V. (2022a). "Moving from Hyper–Globalization." *SSRN*, December 6, <https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=4262340>.

Papava, V. (2022b). "Pandemic, War and Economic Sanctions: From Turbulent to Confrontational Globalization." *SSRN*, May 26, <https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=4119601>.

Papava V., (2025). "Inshoring as the New US Priority, and Why Trump's Trade War does not Mean the End of Globalization." *SSRN*, June 19, <https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=5241180>.

Papava V., (2026). "Pandemic, Wars, MAGAnomics, and the Manufacturization of the Economy: Donald Trump, Karl Marx, and the Mercantilists." *SSRN*, July 27, <https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=7168318>.

Papava V., Bedianashvili G., (2025). "Trade Wars and Disruptions in Global Supply Chains in an Era of Growing Uncertainty." *Bulletin of the National Academy of Sciences of Georgia*, 19/193(4), 207–212, <http://science.org.ge/bnas/t19-n4/30_Papava_Economics.pdf>.

Raufoglu A., (2026). "US Senate Passes Russia Sanctions Bill Targeting Moscow's Energy Revenues." *Radio Free Europe/Radio Liberty*, August 7, <https://www.rferl.org/a/russia-ukraine-senate-trump-graham-sanctions/33824412.html>.

Rodrik D., (2011a). *The Globalization Paradox: Democracy and the Future of the World Economy*. New York: W. W. Norton & Company.

Rodrik D., (2011b). "The Manufacturing Imperative." *Project Syndicate*, August 10, <https://www.project-syndicate.org/commentary/the-manufacturing-imperative>.

Rodrik D., (2015). "Premature Deindustrialization." *National Bureau of Economic Research Working Paper 20935*, <https://www.nber.org/system/files/working_papers/w20935/w20935.pdf?utm_source=PANTHEON_STRIPPED>.

Rodrik D., (2022). "A Better Globalization Might Rise from Hyper-Globalization's Ashes." *Project Syndicate*, May 9, <https://www.project-syndicate.org/commentary/after-hyperglobalization-national-interests-open-economy-by-dani-rodrik-2022-05>.

Rodrik D., (2025). "What Tariffs Can and Can't Do." *Project Syndicate*, January 8, <https://www.project-syndicate.org/commentary/trump-has-wrong-concept-of-tariffs-by-dani-rodrik-2025-01>.

Rodrik D., (2026). "How I Became a Manufacturing Skeptic." *Project Syndicate*, May 12, <https://www.project-syndicate.org/commentary/services-not-manufacturing-best-hope-for-developing-countries-by-dani-rodrik-2026-05?utm_source=project-syndicate.org&utm_medium=email&utm_campaign=authnote&>.

Spence M., (2021). "Why Are Supply Chains Blocked?" *Project Syndicate*, November 3, <https://www.project-syndicate.org/commentary/prevent-future-supply-chain-disruptions-using-ai-models-by-michael-spence-2021-11>.

Stiglitz J. E., (2026). "Trump's New Tariffs Are an Opportunity to Fight Back." *Project Syndicate*, July 30, <https://www.project-syndicate.org/commentary/trump-tariffs-unserious-rationale-calls-for-serious-retaliation-by-joseph-e-stiglitz-2026-07?utm_source=Project+Syndicate+Newsletter&utm_campaign=5c78c8dd39-Economics_Newsletter_2026_08_06&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-88dbc262f3-93567601>.

Subramanian A., (2026). "The Mother of All Economic Shocks Is Chinese Mercantilism." *Project Syndicate*, July 13, <https://www.project-syndicate.org/commentary/chinese-mercantilism-mother-of-all-global-shocks-by-arvind-subramanian-2026-07?utm_source=Project+Syndicate+Newsletter&utm_campaign=3feed6f91f-Economics_Newsletter_2026_07_16&utm_medium=email&utm_term=0_-8288adee37-93567601>.

UN, (2008). *International Standard Industrial Classification of All Economic Activities Revision 4*. New York, United Nations, <https://unstats.un.org/unsd/publication/seriesm/seriesm_4rev4e.pdf>.

Warlow T. D., Pitts S. T., Kamery R. H., (2007). "Mid-18th Century Economic Changes: The Rise of Adam Smith and the Decline of the Mercantilists and Physiocrats." *Journal of Economics and Economic Education Research*, Vol. 8, No. 3, 67–82,

<https://www.alliedacademies.org/articles/mid18th-century-economic-changes-the-rise-of-adam-smith-and-the-decline-of-the-mercantilists-and-physiocrats.pdf>.

WB, (n/d). "Metadata Glossary of the World Bank." *The World Bank Group*, <https://databank.worldbank.org/metadataglossary/world-development-indicators/series/NV.IND.MANF.ZS>.

WH, (2025). "Fact Sheet: President Donald J. Trump Imposes Tariffs on Imports from Canada, Mexico and China." *The White House*, February 1, <https://www.whitehouse.gov/fact-sheets/2025/02/fact-sheet-president-donald-j-trump-imposes-tariffs-on-imports-from-canada-mexico-and-china/>.

Ye P., Xiao T., Liu H., (2012). "Performance Analysis about Chinese Service Industry Manufacturization." In: *International Conference on Management of e-Commerce and e-Government (ICMeCG)*, 20-21 October, Beijing, China. New York: IEEE, DOI: 10.1109/ICMeCG.2012.61, <https://ieeexplore.ieee.org/document/6374956>.

Zhang P., Ye T., Qiao X., Zhu H. (2025). "Service-Manufacturing Integration and the "Baumol's Disease" Trap: Experience from China and Global Patterns." *China Finance and Economic Review*, Vol. 14, Iss. 2, pp. 24-44, <https://www.degruyterbrill.com/document/doi/10.1515/cfer-2025-0008/html?srsltid=AfmBOooFSnJPxQIPvh6mFpHu4rOwI07dBeFio7k5r7iVdIWRgWIf5QQa>.

On The Manufacturization of the Global Economy

Vladimer Papava
Academician, Academician-Secretary of the Georgian National Academy of Sciences;
Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University;
Chief Research Fellow, Paata Gugushvili Institute of Economics
vladimer.papava@tsu.ge

Summary

The paper examines the essence of the manufacturization of the economy, whereby the role and importance of manufacturing industries in the national economy are increasing, and analyzes the factors determining these processes. In particular, it is argued that the manufacturization of the economy is driven by disruptions in global supply chains caused by pandemics, wars, and economic sanctions. Friendshoring, nearshoring, and inshoring are increasingly being adopted to enhance the resilience of these chains, with the latter encompassing reshoring. In this context, the manufacturization of the economy has taken on a distinctly global character. The trade war initiated by US President Donald Trump, under the banner of so-called "MAGAnomics," is analyzed separately. Its theoretical foundation is rooted in "modern mercantilism," with the principal objective of increasing the degree of manufacturization of the US economy. However, the theoretical basis of MAGAnomics is so weak that it will most likely generate predominantly negative consequences for both the US and its trading partners.

Keywords: Manufacturization of the Economy, Globalization, Global Supply Chains, Pandemics, Wars, Economic Sanctions, MAGAnomics, Mercantilism, Modren Mercantilism.